

თვის მიმოხილვა

დეკემბერი

საქართველოს ეროვნული ბანკი

2021



“თვის მიმოხილვა“
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ

ყოველწლიური პუბლიკაცია

ISSN 1512-1259

სარჩევი

1. სამომხმარებლო ფასების ცვლილება	4
2. მონეტარული აგრეგატების დინამიკა	8
3. საბანკო სექტორი	10
4. სავალუტო ბაზარი	15
5. ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი	19
6. საგარეო სექტორის მიმოხილვა	21

1. სამომხმარებლო ფასების ცვლილება

2021 წლის დეკემბერში წლიურმა ინფლაციამ 13.9 პროცენტი შეადგინა, ხოლო ნოემბერთან შედარებით ფასებმა 0.3 პროცენტით მოიმატა.

დეკემბერში, წინა თვესთან შედარებით სეზონური ფაქტორების გამო ყველსა და კომბოსტოზე გაზრდილმა ფასებმა ინფლაცია ჯამში 0.2 პპ-ით გაზარდა, ხოლო ქათმის ხორცის და კარტოფილის გაიაფებამ ჯამში 0.1 პპ-ით შეამცირა.

დეკემბერში წლიური ინფლაციის მატების მთავარი მიზეზი კომუნალური გადასახადების წვლილის ზრდაა. როგორც წინა ანგარიშებში აღვნიშნეთ, კომუნალური გადასახადების გავლენა ინფლაციაზე მოიცავს როგორც გადასახადების გაძვირებას ასევე სუბსიდირების დასრულების ეფექტს. დეკემბრიდან ამ ფაქტორებს საბაზო ეფექტი დაემატა. კერძოდ, კომუნალური გადასახადების სუბსიდირების ეფექტი ინფლაციაზე 2020 დეკემბრიდან 2021 თებერვლის ჩათვლით აისახა, რის გამოც ინფლაციამ ამ პერიოდში იკლო. ერთი წლის შემდეგ, საბაზო ეფექტის გამო, კომუნალური გადასახადების გავლენამ წლიურ ინფლაციაზე წინა თვესთან შედარებით 2.0 პპ-ით, 3.6 პპ-მდე მოიმატა.


წლიურ ჭრილში, ინფლაციაზე მნიშვნელოვან გავლენას სურსათის ფასები ახდენს. სურსათის გაძვირება გლობალური ტენდენციაა, რაც საქართველოზეც აისახება. დეკემბერში სურსათის

წლიურმა ინფლაციამ 16.1 პროცენტი, ხოლო წვლილმა მთლიან ინფლაციაში 4.7 პპ შეადგინა. ოქტომბერში გაძვირების შემდეგ, სურსათიდან ყველაზე გამოსარჩევი პური გახდა. სამომხმარებლო კალათაში პურს ყველაზე დიდი წონა (3.74%) აქვს. ამ პროდუქტის წლიური გაძვირება დეკემბერში 22.2 პროცენტს გაუტოლდა, რის გამოც ინფლაციაზე მისმა გავლენამ 0.8 პპ შეადგინა. კვერცხის და კარტოფილის წვლილი ინფლაციაში თითოეულისთვის 0.4-0.4 პპ-ს შეადგენდა. შემცირდა, თუმცა კვლავ მაღალი, 0.3 პპ, რჩება მხესუმზირის ზეთის გავლენა ინფლაციაზე. ამდენივეა ყველის წვლილიც.

მსოფლიოში მობილობის აღდგენასთან ერთად გაიზარდა ნავთობზე მოთხოვნა და, შედეგად, ფასებიც, რამაც საწვავიც გააძვირა. 2020 წლის დეკემბერთან შედარებით ბენზინი - 39.9, დიზელი 34.7, ხოლო გაზის საწვავი 14.2 პროცენტით არის გაძვირებული, რითაც საწვავის წვლილი წლიურ ინფლაციაში 1.9 პპ-ს უტოლდება. ჯანმრთელობის დაცვა წლიურად 7.9 პროცენტით გაძვირდა (0.6 პპ წვლილი ინფლაციაში).

საბაზო ინფლაცია, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მაღალი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომატარებლების და თამბაქოს ფასებს გამოირიცხავს, 6.0 პროცენტამდე შემცირდა.


მთლიანი და საბაზო (სურსათისა და ენერგომატარებლების და თამბაქოს გარეშე) ინფლაცია



წყარო: საქსტატი


¹ მთავრობის მიერ კომუნალური გადასახადების სუბსიდირების გამო 2020 წლის დეკემბერში კომუნალური გადასახადების ინდექსები ნოემბერთან შედარებით შემცირდა, ხოლო 2021 მარტში ეს ინდექსები ნოემბრის დონესთან შედარებით მცირედით გაიზარდა. თუმცა, პროცენტულად ზრდა გაცილებით მეტი გამოვიდა, ვიდრე - შემცირება. კომუნალური გადასახადების უცვლელი წონის პირობებში, აღნიშნულმა სხვაობამ წლიური ინფლაციის დონე მომდევნო ერთი წლის მანძილზე დაახლოებით 1.2 პროცენტული პუნქტით გაზარდა.

წლიური ფასების ცვლილება სამომხმარებლო კალათის ჯგუფების მიხედვით



დეკემბერში წლიურმა ინფლაციამ ადგილობრივ, ბამისად 10.1, 15.1 და 20.8 პროცენტი შეადგინა. შერეულ და იმპორტირებულ საქონელზე შესა-


იმპორტირებული და ადგილობრივი საქონლის ინფლაცია



წინა თვესთან შედარებით, ხანმოკლე მოხმარების საქონელი და მომსახურება შესაბამისად, 0.4 და 0.2 პროცენტით გაძვირდა. საშუალო და ხანგრძლივი მოხმარების საქონელი შესაბამისად 0.5 და 0.4 გაიფუტა.

წლიური მაჩვენებლების მიხედვით, ხანმოკლე, საშუალო და ხანგრძლივი მოხმარების საქონელი, შესაბამისად, 20.0, 6.6 და 3.6 პროცენტით გაძვირდა. მომსახურებაზე ფასებმა 5.7 პროცენტით მოიმატა.

წლიური ინფლაციის მაჩვენებლები სხვადასხვა ხანგრძლივობის მოხმარების საქონლისა და მომსახურებისათვის



ინფლაციის (სფი) მაჩვენებლები ცალკეული კომპონენტების მიხედვით (პროცენტი), მათი წონა სამომხმარებლო კალათაში (პროცენტი) და წვლილი სფი-ში (პროცენტული პუნქტი).

	2021 წლის წონები	დეკ21/ნოვ21		დეკ21/დეკ20	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	0.3%	0.3%	13.9%	13.9%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	32.2%	0.8%	0.3%	15.6%	5.0%
სურსათი	28.9%	0.9%	0.3%	16.1%	4.7%
პური და პურპროდუქტები	5.6%	0.6%	0.0%	20.2%	1.1%
ხორცი და ხორცპროდუქტები	6.8%	-0.1%	0.0%	10.2%	0.7%
თევზი	0.5%	2.3%	0.0%	16.5%	0.1%
რძე, ყველი და კვერცხი	6.3%	1.9%	0.1%	15.3%	1.0%
ზეთი და ცხიმი	1.9%	0.9%	0.0%	24.5%	0.5%
ხილი, ყურძენი	1.6%	-0.7%	0.0%	10.5%	0.2%
ბოსტნეული, ბაღყეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.3%	1.8%	0.1%	20.7%	0.7%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.3%	2.0%	0.0%	19.8%	0.5%
კვების სხვა პროდუქტები	0.6%	0.6%	0.0%	4.4%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	3.3%	0.0%	0.0%	11.2%	0.4%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.4%	-0.4%	0.0%	5.2%	0.3%
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	3.8%	-1.4%	0.0%	2.8%	0.1%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	9.0%	0.4%	0.0%	43.5%	3.9%
ავიჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.3%	-0.4%	0.0%	11.8%	0.6%
ჯანმრთელობის დაცვა	7.8%	0.1%	0.0%	7.9%	0.6%
ტრანსპორტი	13.0%	-0.1%	0.0%	17.3%	2.3%
კავშირგაბმულობა	3.6%	0.0%	0.0%	-0.7%	0.0%
დასვენება, გართობა და კულტურა	3.7%	1.1%	0.0%	2.5%	0.1%
განათლება	4.6%	-0.1%	0.0%	4.8%	0.2%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	5.4%	0.9%	0.0%	14.0%	0.8%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5.3%	-0.1%	0.0%	6.0%	0.3%
ხანმოკლე მოხმარების საქონელი	58.1%	0.4%	0.3%	20.0%	11.6%
საშუალო მოხმარების საქონელი	7.3%	-0.5%	0.0%	6.6%	0.5%
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	4.5%	-0.4%	0.0%	3.6%	0.2%
მომსახურება	30.1%	0.2%	0.1%	5.7%	1.7%

წყარო: საქსტატი


2. მონეტარული აგრეგატების დინამიკა

მონეტარული აგრეგატები

2021 წლის დეკემბერში, წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 171.2 მლნ ლარით (3.3 პროცენტით) შემცირდა და საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის 5.0 მლრდ ლარი შეადგინა. საშუალო მაჩვენებლის მიხედვით, წინა თვესთან

შედარებით, მონეტარული ბაზა 82.9 მლნ ლარით (1.6 პროცენტით) შემცირდა. პერიოდის ბოლოსთვის, სარეზერვო ფულის წლიური ზრდის ტემპი -3.0 პროცენტს გაუტოლდა.

სარეზერვო ფულის ცვლილება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საანგარიშო პერიოდში შიდასამთავრობო კონვერტაციებით, ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო შესყიდვებმა 161.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სავალუტო ინტერვენციებში ეროვნულ ბანკს მონაწილეობა არ მიუღია. BMatch პლატფორმის წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა გაყიდვებმა, თვის განმავლობაში 2.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

შედეგად, წმინდა უცხოური აქტივები დაახლოებით 159.3 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა.

დეკემბერში, მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 666.3 მლნ ლარით გაიზარდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის 1,683.1 მლნ ლარს გაუტოლდა.

საანგარიშო პერიოდში, განთავსდა 20.0 მლნ ლარის მოცულობის და დაიფარა 40.0 მლნ ლარის ოდენობის სადეპოზიტო სერთიფიკატები.

აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, რეფინანსირების სესხების მოცულობა წინა თვესთან შედარებით 390.0 მლნ ლარით შემცირდა და 2,070.0 მლნ ლარი შეადგინა. ერთთვიანი სესხის მოცულობა უცვლელია და 400 მლნ ლარს უტოლდება, ხოლო ერთდღიანი სესხი 181.1 მლნ ლარით შემცირდა. ამავე პერიოდში, მცირე და საშუალო ბიზნესის

ლიკვიდობის მხარდამჭერი სესხის ნაშთის ოდენობა 6.3 მლნ ლარით გაიზარდა და 632.0 მლნ ლარს შეადგენს. საანგარიშო პერიოდში, ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 548.8 მლნ ლარით შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის, 3,084.0 მლნ ლარს გაუტოლდა. გარდა ამისა, თვის განმავლობაში 167.8 მლნ ლარით გაიზარდა სავალუტო სვოპის მოცულობა. საანგარიშსწორებო პერიოდში, ასევე დაიფარა მუდმივმოქმედი სვოპი 263.5 მლნ ლარის ოდენობით. მეორად ბაზარზე სახაზინო ფასიანი ქაღალდების წმინდა შესყიდვამ 68.2 მლნ ლარი შეადგინა და პორტფელის მოცულობა 68.2 მლნ ლარით გაიზარდა.

ზემოაღნიშნული ფულადი ნაკადების მოძრაობის ზეგავლენით, თვის განმავლობაში, სარეზერვო ფულის მოცულობა 171.2 მლნ ლარით შემცირდა. მათ შორის, ნაღდი ფული მიმოქცევაში - 153.5.0 მლნ ლარით გაიზარდა, ხოლო საქართველოს ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკების ეროვნული ვალუტით განთავსებულ საკორესპონდენტო ანგარიშებზე ნაშთები - 392.4 მლნ ლარით შემცირდა. ამასთან, კომერციული ბანკების ერთდღიან დეპოზიტებზე არსებული ნაშთების ოდენობა 67.7 მლნ ლარით გაფართოვდა.

სარეზერვო ფულის დინამიკა; პერიოდის ბოლო (ათასი ლარი)

	იან-21	თებ-21	მარ-21	აპრ-21	მაი-21	ივნ-21	ივლ-21	აგვ-21	სექ-21	ოქტ-21	ნოვ-21	დეკ-21
სარეზერვო ფული	4 885 637	4,943,702	4,577,073	5,442,135	5,151,466	5,075,714	5 207 486	5,154,036	5,254,635	5,235,564	5,202,846	5,031,670
ფული მიმოქცევაში	4 417 990	4,472,684	4,469,501	4,638,706	4,565,055	4,549,315	4 641 809	4,622,315	4,647,666	4,644,539	4,435,534	4,589,034
ბანკების დეპოზიტები	467 647	471,018	107,572	803,429	586,411	526,399	565 677	531,721	606,969	591,024	767,312	442,636
საკორესპონდენტო ანგარიშზე ნაშთები	333 647	459,018	48,154	746,429	466,011	489,401	500 437	393,741	604,969	591,024	753,812	361,436
ერთდღიანი დეპოზიტები	134 000	12,000	59,418	57,000	120,400	36,998	65 240	137,980	2,000	-	13,500	81,200

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საშუალო სარეზერვო ფულის დინამიკა (ათასი ლარი)

	იან-21	თებ-21	მარ-21	აპრ-21	მაი-21	ივნ-21	ივლ-21	აგვ-21	სექ-21	ოქტ-21	ნოვ-21	დეკ-21
სარეზერვო ფული	5,062,263	4,971,242	5,028,096	5,101,629	5,205,010	5,124,660	5 152 188	5,217,487	5,227,042	5,268,908	5,189,895	5,106,975
ფული მიმოქცევაში	4,473,858	4,456,799	4,499,571	4,537,656	4,568,860	4,560,563	4 619 064	4,652,991	4,659,691	4,670,996	4,555,429	4,469,129
ბანკების დეპოზიტები	588,405	514,443	528,525	563,973	636,151	564,097	533 124	564,497	567,351	597,912	634,467	637,846
საკორესპონდენტო ანგარიშზე ნაშთები	490,150	431,727	461,849	500,273	453,332	517,092	464 830	534,499	533,238	563,709	573,039	547,825
ერთდღიანი დეპოზიტები	98,255	82,716	66,677	63,699	182,819	47,004	68 294	29,997	34,112	34,203	61,428	90,021

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფართო ფული

2021 წლის დეკემბერში, ფართო ფულის, M3-ის აგრეგატი 1,485.8 მლნ ლარით გაიზარდა და თვის ბოლოსათვის 34.0 მლრდ ლარი შეადგინა. წლიური ზრდის ტემპი 11.6 პროცენტი იყო. საანგარიშო პერიოდში, უცხოური ვალუტით დეპოზიტებზე 523.2 მლნ ლარით ზრდა დაფიქსირდა და დეკემბრის ბოლოსთვის 17.8 მლრდ ლარს გაუტოლდა. ამავე

პერიოდში, 882.8 მლნ ლარით გაიზარდა ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტების ოდენობა და მისმა მოცულობამ - 12.6 მლრდ ლარი შეადგინა. ფართო ფული M2-ის მაჩვენებელი, საანგარიშო პერიოდში, 6.3 პროცენტით (962.6 მლნ ლარით) გაიზარდა.

ფულადი აგრეგატების დინამიკა (ათასი ლარი)

	იან-21	თებ-21	მარ-21	აპრ-21	მაი-21	ივნ-21	ივლ-21	აგვ-21	სექ-21	ოქტ-21	ნოვ-21	დეკ-21
ფართო ფული /M3/	30,081,265	31,098,246	31,931,184	31,322,492	30,969,343	30,558,878	31 668 283	31,894,683	32,627,501	33,018,923	32,506,860	33,992,625
ფულადი მასა /M2/	13,191,646	13,457,627	13,638,261	13,843,949	14,041,688	14,220,267	14 933 671	14,960,589	15,288,346	15,332,081	15,208,593	16,171,156
ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფული	3,647,322	3,671,090	3,621,975	3,715,975	3,651,087	3,695,787	3 731 878	3,719,860	3,714,647	3,672,768	3,472,518	3,552,307
ლარები მიმოქცევაში	4,417,990	4,472,684	4,469,501	4,638,706	4,565,055	4,549,315	4 641 809	4,622,315	4,647,666	4,644,539	4,435,534	4,589,034
დეპოზიტები ეროვნული ვალუტით	9,544,324	9,786,537	10,016,286	10,127,974	10,390,601	10,524,480	11 201 793	11,240,728	11,573,699	11,659,313	11,736,075	12,618,849
დეპოზიტები უცხოური ვალუტით	16,889,618	17,640,619	18,292,923	17,478,543	16,927,655	16,338,611	16 734 612	16,934,094	17,339,155	17,686,843	17,298,268	17,821,469

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


3. საბანკო სექტორი

2021 წლის დეკემბერში, წინა თვესთან შედარებით, საბანკო სისტემის სადეპოზიტო ვალდებულებები 1,484.4 მლნ ლარით (4.2 პროცენტით) გაიზარდა და 37.2 მლრდ ლარს გაუტოლდა. 2020 წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებაში, მთლიანი დეპოზიტების მოცულობა

7.6 პროცენტით არის გაზრდილი. სადეპოზიტო ვალდებულებების ზრდაზე გავლენა როგორც ეროვნული ვალუტის, ასევე უცხოური ვალუტის დეპოზიტების მატებამ მოახდინა.

სადეპოზიტო ვალდებულებები

მილიარდი ლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საანგარიშო პერიოდში, წინა თვესთან შედარებით, ლარით დენომინირებული დეპოზიტების მოცულობა 787.5 მლნ ლარით (5.6 პროცენტით) გაიზარდა და 14.8 მლრდ ლარი შეადგინა. სამთავრობო სექტორის დეპოზიტები კლების მიმართულებით მოქმედებდა (შემცირდა 196.8 მლნ ლარით). იურიდიული პირების დეპოზიტები 484.0 მლნ ლარით, ხოლო ფიზიკური პირების დეპოზიტები კი 500.3 მლნ ლარით გაიზარდა.


კომერციულ ბანკებში, უცხოური ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებზე 2.9 პროცენტის (200.2 მლნ აშშ დოლარი) ზრდა დაფიქსირდა და პერიოდის ბოლოს, 7.23 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა, ძირითადად, იურიდიული პირების დეპოზიტების მატებით არის განპირობებული.

სავალუტო და სალარე დეპოზიტების ზრდის ტემპებიდან გამომდინარე, დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი, 2021 წლის ნოემბერში ოქტომბერთან შედარებით 0.6 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 60.2 პროცენტს შეადგენს. საანგარიშო პერიოდის ბოლოს, იურიდიული და ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია, შესაბამისად, 47.5 და 73.3 პროცენტს შეადგენდა.


მიმდინარე წლის დეკემბერში წინა თვესთან შედარებით, საშუალო საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე 0.9 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 6.4 პროცენტს გაუტოლდა. ეროვნული ვალუტით მოზიდულ დეპოზიტებზე,

ბანკების მიერ გადახდილი სარგებლის წლიური საშუალო შეწონილი განაკვეთი წინა პერიოდთან შედარებით 0.5 პროცენტული პუნქტით მოიმატა და 11.2 პროცენტს გაუტოლდა. იურიდიული პირების ეროვნული ვალუტით დეპოზიტებზე, წინა თვესთან შედარებით 0.5 პროცენტული პუნქტიანი მატება დაფიქსირდა და 10.8 პროცენტი შეადგინა. ფიზიკური პირების დეპოზიტებზე წლიური განაკვეთები წინა თვესთან შედარებით 0.5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 11.9 პროცენტს გაუტოლდა. უცხოური ვალუტით მოზიდული დეპოზიტების წლიური განაკვეთი უცვლელია და 0.8 პროცენტს შეადგენს. მათ შორის, უცხოური ვალუტით იურიდიული პირების დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთები 0.1 პროცენტული პუნქტით 1.5 პროცენტამდე გაიზარდა. უცხოური ვალუტით ფიზიკური პირების დეპოზიტებზე განაკვეთი 0.8 პროცენტის ნიშნულზეა. 2020 წლის დეკემბერში არსებულ განაკვეთებთან შედარებით, ეროვნული ვალუტით დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები 2.9 პროცენტული პუნქტით 11.2 პროცენტამდე გაიზარდა. უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების განაკვეთებზე 1.2 პროცენტული პუნქტით კლება დაფიქსირდა წინა წლის დეკემბერთან შედარებით და 0.8 პროცენტს გაუტოლდა.

დეპოზიტები ეროვნული ვალუტით




დეპოზიტები უცხოური ვალუტით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დეპოზიტების ზრდის ტემპი წინა თვესთან




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2021 წლის დეკემბერში, წინა თვესთან შედარებით, კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკის დაკრედიტება 1,748.7 მლნ ლარით გაიზარდა და მთლიანი მოცულობა 42.6 მლრდ ლარს გაუტოლდა. საკრედიტო პორტფელის მატება როგორც ეროვნული ვალუტით, ასევე უცხოური ვალუტით დაკრედიტების ზრდამ განაპირობა. კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების პორტფელის წლიურმა ზრდის ტემპმა კი 13.1 პროცენტი შეადგინა. გაცვლითი კურსის ეფექტის

გარეშე კი, სესხების წლიური ზრდა 18.0 პროცენტი იყო. საკრედიტო პორტფელის 88.4 პროცენტი გრძელვადიან სესხებზე მოდიოდა, რომლის 52.2 პროცენტი უცხოური ვალუტით იყო გაცემული. მოკლევადიან სესხებში კი უცხოური ვალუტით სესხების წილი 40.4 პროცენტს შეადგენდა.

სესხების ზრდის ტემპი წინა თვესთან




საანგარიშო პერიოდში, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხები 731.8 მლნ ლარით (3.6 პროცენტით) გაიზარდა და 21.0 მლრდ ლარს გაუტოლდა. აღნიშნული ცვლილება, ძირითადად თანაბრად იყო გამოწვეული როგორც ფიზიკური პირების, ისე იურიდიული პირების ანგარიშების დაკრედიტების ზრდით იყო განპირობებული.

უცხოური ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა დეკემბერში 292.8 მლნ აშშ დოლარით მოკლევადიანი სესხები ეროვნული ვალუტით

(4.3 პროცენტით) გაიზარდა, წინა თვესთან შედარებით, და პერიოდის ბოლოს 7.14 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. ამ კატეგორიის კრედიტების 62.5 პროცენტს იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები შეადგენს, ხოლო 52.2 პროცენტი გრძელვადიან დაკრედიტებას უჭირავს. საანგარიშო პერიოდში, მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაციის მაჩვენებელი 0.3 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 50.6 პროცენტს გაუტოლდა.


მილიონი ლარი



მოკლევადიანი სესხები უცხოური ვალუტით

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


მილიონი ლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

გრძელვადიანი სესხები ეროვნული ვალუტით


მილიონი ლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

გრძელვადიანი სესხები უცხოური ვალუტით

მილიონი ლარი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დეკემბრის თვეში, ვადაგადაცილებული სესხები 68.1 მლნ ლარით შემცირდა და 479.0 მლნ ლარს გაუტოლდა. მათი წილი კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელში 1.1 პროცენტი იყო.

ვადაგადაცილებული სესხების 42.1 პროცენტი ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.

ვადაგადაცილებული დავალიანება




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საბანკო სისტემაში საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები სესხებზე მიმდინარე წლის დეკემბერში 0.6 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 11.7 პროცენტი შეადგინა. უცხოური ვალუტით დენომინირებულ სესხებზე საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 6.3 პროცენტი შეადგინა. ეროვნული ვალუტით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.3 პროცენტული პუნქტით, 15.8 პროცენტამდე შემცირდა. ეროვნული ვალუტით სესხების შემთხვევაში, საპროცენტო განაკვეთებმა ფიზიკური პირებისთვის 17.9 პროცენტის ნიშნულზეა, ხოლო იურიდიული პირების სესხებზე 0.3 პროცენტული პუნქტით, წლიურ 13.3 პროცენტამდე გაიზარდა.

უცხოური ვალუტის შემთხვევაში, იურიდიული პირების სესხებზე საპროცენტო განაკვეთები 0.2 პროცენტული პუნქტით 6.7 პროცენტამდე გაიზარდა, ხოლო ფიზიკური პირების მიერ უცხოური ვალუტით აღებული სასესხო განაკვეთები კი 5.4 პროცენტის ნიშნულზეა. წინა წლის დეკემბერთან შედარებით, საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტის სესხებზე 0.6 პროცენტული პუნქტით შემცირდა, ხოლო ეროვნული ვალუტის სესხებზე 1.3 პროცენტული პუნქტით გაიზარდა.

სესხების და დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


4. სავალუტო ბაზარი

1. გაცვლითი კურსი

დეკემბერში ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 3.1374-დან 3.0987-მდე (1.2 პროცენტით), ხოლო ევროს მიმართ საშუალოდ 3.5831-დან 3.5035-მდე (2.2 პროცენტით) გამყარდა.

თვის ბოლოს კი ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 3.0976 და 3.5040 შეადგინა, შესაბამისად.

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ, თვის საშუალო




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საანგარიშო პერიოდში ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალურმა მნიშვნელობამ - 3.1283, ხოლო მინიმალურმა 3.0774 შეადგინა. შესაბამისად, თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან მაქსიმალური გადახრა - 1.0 პროცენტი, ხოლო მინიმალური -0.7 პროცენტი დაფიქსირდა.

საერთაშორისო სავალუტო ბაზრებზე დოლარი ევროს მიმართ საშუალოდ 1.8 პროცენტით გამყარდა, ხოლო თურქული ლირის მიმართ საშუალოდ - 22.5 პროცენტით, სომხური დრამის მიმართ საშუალოდ - 1.7 პროცენტით და რუსული რუბლის მიმართ საშუალოდ 1.4 პროცენტით გაუფასურდა, აზერბაიჯანული მანათის მიმართ კი პრაქტიკულად უცვლელი დარჩა¹.

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველდღიური მერყეობის დიაპაზონი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


¹ წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

წინა თვესთან შედარებით ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი - 4.0 პროცენტით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 6.6 პროცენტით გამყარდა. წლიურად, ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი - 20.4 პროცენტით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 17.9 პროცენტით გამყარდა.

სავაჭრო პარტნიორთაგან დეკემბერში წლიური ინფლაცია საქართველოში დაფიქსირებულ 13.9 პროცენტზე მაღალი იყო თურქეთში - 36.1 პროცენტი, ხოლო დაბალი იყო აზერბაიჯანში - 12.0 პროცენტი, ბელორუსსა და უკრაინაში - 10.0

პროცენტი, რუსეთში - 8.4 პროცენტი, სომხეთში - 7.7 პროცენტი, აშშ-ში - 7.0 პროცენტი და ევროზონაში - 5.0 პროცენტი.

ლარის რეალური და ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსების ინდექსები (დეკ 2012=100)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2. სავალუტო ბაზრის ტენდენციები


ბანკთაშორის სავალუტო ბაზარი

2021 წლის დეკემბერში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა თვითრად გაიზარდა, ხოლო წლიურად შემცირდა. აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 98.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვის მაჩვენებელზე - 15.5 მლნ აშშ დოლარით მეტი, ხოლო წინა წლის დეკემბრის მონაცემზე კი 18.3 მლნ აშშ დოლარით ნაკლებია. იმავდროულად, ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით - 15.3 პროცენტით, წლიურად კი 44.9 პროცენტით გაიზარდა.

საანგარიშო პერიოდში სავალუტო ბაზრის კონცენტრაცია გაიზარდა: ბანკთაშორის სავალუტო გარიგებების მთლიანი თანხის 68 პროცენტი (ნოემბერი - 62 პროცენტი) ქვეყანაში მოქმედი 14 ბანკიდან და 5² არასაბანკო ორგანიზაციიდან 5 ყველაზე აქტიურ ორგანიზაციაზე მოდის. დადებული გარიგებების რაოდენობის მიხედვით, 5 ყველაზე აქტიურ ორგანიზაციას ბაზრის 64 პროცენტი უჭირავს. ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი გაიზარდა და 11 პროცენტია (ნოემბერი - 10 პროცენტი), რაც დაბალი მაჩვენებელია და სავალუტო ბაზრის კონკურენტულობაზე მიუთითებს.

² რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში

ბანკათშორის სავალუტო ბაზარი და ეროვნული ბანკის წვლილი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ვაჭრობა ბანკებსა და დანარჩენ კონომიკურ აგენტებს შორის

დეკემბერში სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები გაიზარდა. უცხოური ვალუტით ლარის ვაჭრობა თითქმის მთლიანად სპოტ³ გარიგებებით ხდებოდა (99.0 პროცენტი) და 2,329.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც ნოემბრის მონაცემთან შედარებით - 501.8 მლნ აშშ დოლარით, ხოლო წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 668.1 მლნ აშშ დოლარით მეტია.

სპოტ გარიგებების ძირითადი ნაწილი იურიდიულ პირებზე (69.1 პროცენტი) მოდიოდა, დანარჩენი კი შინამეურნეობებზე (28.2 პროცენტი) და არარეზიდენტ ბანკებზე (2.4 პროცენტი). საქართველოს ეროვნული ბანკის წილი 0.3 პროცენტი იყო. წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა გაყიდვებმა თვის განმავლობაში 2.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

სებ-ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე (მლნ აშშ დოლარი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

³ სპოტი გარიგება ხდება იმავდროული ვალუტირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.


საერთო ჯამში, სპოტ გარიგებებით ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნამ 1,187.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც ნოემბრის მაჩვენებელთან შედარებით - 245.0 მლნ აშშ დოლარით, ხოლო წლიურად 350.1 მლნ აშშ დოლარით მეტია. სეგმენტების ანალიზი აჩვენებს, რომ სპოტ გარიგებებით იურიდიული პირების მიერ უცხოური ვალუტის ყიდვებმა 937.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, შინამეურნეოების შესყიდვები 232.0 მლნ აშშ დოლარი იყო, ხოლო არარეზიდენტი ბანკების - 15.5 მლნ აშშ დოლარი. საანგარიშო პერიოდში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2.7 მლნ აშშ დოლარია შეძენილი.

სპოტ გარიგებით შეძენილი უცხოური ვალუტა



რაც შეეხება ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოური ვალუტის სპოტ გარიგებებით მიწოდებას, დეკემბერში 1,141.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც ნოემბრის მაჩვენებელთან შედარებით - 256.8 მლნ აშშ დოლარით, ხოლო წლიურად 318.0 მლნ აშშ დოლარით მეტია. იურიდიულმა პირებმა 671.6 მლნ აშშ დოლარი გაყიდეს, შინამეურნეოებმა - 425.2 მლნ აშშ დოლარი, არარეზიდენტმა ბანკებმა კი - 39.4 მლნ აშშ დოლარი. საანგარიშო პერიოდში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 5.2 მლნ აშშ დოლარია გაყიდული.

სპოტ გარიგებით გაყიდული უცხოური ვალუტა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დეკემბერში სავალუტო ფორვარდ⁴ გარიგებებით ბანკებსა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის უცხოური ვალუტით ვაჭრობამ 24.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც ნოემბრის მონაცემთან შედარებით - 27.4 მლნ აშშ დოლარით, ხოლო წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 3.5 მლნ აშშ დოლარით ნაკლებია. მიმდინარე თვეში ფორვარდ გარიგებების 73.9 იურიდიულ პირებზე, ხოლო 26.1 პროცენტი შინამეურნეოებზე მოდიოდა. ფორვარდ გარიგებებით დანარჩენი ეკონომიკური აგენტების

მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვებმა 8.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.


⁴ სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების პეჯირებისათვის (დაზღვევისათვის). ფორვარდი იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში.

5. ბანკთაშორის ფულადი ბაზარი

სადეპოზიტო სერტიფიკატები დეკემბერში სადეპოზიტო სერტიფიკატების ერთი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონზე ბანკების მხრიდან მოთხოვნამ 40.0 მლნ ლარი შეადგინა და სრულად განთავსდა 20 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერტიფიკატები, საანგარიშსწორებო ფასით 19.5 მლნ ლარი. საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი

0.91 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 10.39 პროცენტია. დეკემბერში არსებული დაფარვების გათვალისწინებით, სადეპოზიტო სერტიფიკატების ნომინალური მოცულობა 20 მლნ ლარით შემცირდა და 60 მლნ ლარს შეადგენს.

3-თვიანი სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონის საპროცენტო განაკვეთები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სახაზინო ფასიანი ქაღალდების აუქციონები დეკემბერში ჩატარდა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ოთხი აუქციონი, რომლებზეც ჯამში 193.5 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. საანგარიშსწორებო ფასმა 188.5 მლნ ლარი შეადგინა. ბანკების მხრიდან მოთხოვნამ ფასიან ქაღალდებზე ემისიას 2.5-ჯერ გადააჭარბა.


დეკემბერში ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი და ხუთწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 20, 80 და 94 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. დაფარვების გათვალისწინებით, სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი 128.5 მლნ ლარით გაიზარდა და 5,478 მლნ ლარია.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, 6-თვიანი სახაზინო ვალდებულებების განაკვეთი 0.08 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 9.32 პროცენტს შეადგენს. ერთწლიანი სახაზინო ვალდებულებების

საშუალო შეწონილი განაკვეთი 9.41 პროცენტია, რაც წინა თვის მაჩვენებელზე 0.33 პროცენტული პუნქტით მეტია. ხოლო, ხუთწლიანი სახაზინო ფასიანი ქაღალდების განაკვეთი 0.71 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 9.87 პროცენტია.

ბოლო წლების განმავლობაში არარეზიდენტებმა აქტიურად დაიწყეს სახაზინო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა, განსაკუთრებით კი 2019 წლიდან მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების პარალელურად. შედეგად, მათი წვლილი მთლიან პორტფელში მნიშვნელოვნად გაიზარდა და 9.6 პროცენტი შეადგინა. 2021 წლის დეკემბერში არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდების პორტფელის მოცულობა 526 მლნ ლარია, რაც წინა თვესთან შედარებით 24 მლნ ლარით მეტი, ხოლო, წინა წლის დეკემბერთან შედარებით 132 მლნ ლარით ნაკლებია.

შემოსავლიანობის მრუდი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი დეკემბერში ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის კლება შეინიშნებოდა, რაც ძირითადად ეროვნული ვალუტის რესურსის ბრუნვის შემცირებით იყო განპირობებული. ბაზრის მთლიანმა ბრუნვამ 4,120 მლნ ლარი შეადგინა, რაც ნოემბრის მაჩვენებელზე 6.81 მლნ ლარით ნაკლები, ხოლო, წინა წლის დეკემბერთან შედარებით 604 მლნ ლარით მეტია.


წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტის რესურსის ბრუნვა 11 მლნ ლარით (-0.6 პროცენტი) შემცირდა, ხოლო, უცხოური ვალუტის რესურსის ბრუნვის მოცულობა 4.2 მლნ ლარით (0.2 პროცენტი) გაიზარდა. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2021 წლის დეკემბერში ლარის რესურსის ბრუნვა 860 მლნ ლარით გაიზარდა (95.0 პროცენტი), ხოლო, უცხოური ვალუტის ბრუნვა 255 მლნ ლარით (9.8 პროცენტი) შემცირდა.

დეკემბერში ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის მთლიან ბრუნვაში ლარის რესურსის ხვედრითმა წილმა 42.8 პროცენტი შეადგინა, რაც წინა თვის მაჩვენებელზე 0.2 პროცენტული პუნქტით

ნაკლები, ხოლო წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 17.1 პროცენტული პუნქტით მეტია. რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ლარის რესურსზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.48 პროცენტული პუნქტით, ხოლო წლიურად 2.30 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 10.06 პროცენტი შეადგინა. უცხოური ვალუტის შემთხვევაში, განაკვეთი თვის განმავლობაში 0.82 პროცენტული პუნქტით, ხოლო წლიურად 0.91 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 2.02 პროცენტი.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში ფულადი ბაზრის რესურსის 37.3 პროცენტი ერთ თვემდე ვადიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 62.4 პროცენტი კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


6. საგარეო სექტორის მიმოხილვა

2021 წლის დეკემბერში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 24.6 პროცენტით გაიზარდა და 618.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საანგარიშო თვეში საქონლის

რეგისტრირებულმა ექსპორტმა წლიურად 28.8 პროცენტით მოიმატა და 419.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტი 26.3 პროცენტით 1,038.0 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა.

საქონლის ექსპორტ-იმპორტის დინამიკა

მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი



იმპორტი - 2021 წლის დეკემბერში საქონლის იმპორტი წლიურად 26.3 პროცენტით გაიზარდა. რეგიონის ქვეყნებიდან იმპორტის ზრდაში მაღალი წვლილით გამოირჩეოდა თურქეთი, რაც, სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, ასევე ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შემოტანას უკავშირდება. ხოლო იმპორტის ზრდა აზერბაიჯანიდან და თურქმენეთიდან ნავთობაირების, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, უკრაინიდან სიგარეტები-სიგარილეების, სომხეთიდან სპილენძის მადნებიდან და კონცენტრატების გაზრდილმა შესყიდვებმა გამოიწვია. დანარჩენი ქვეყნებიდან, კერძოდ, არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან სატელეფონო აპარატების, ირანიდან პოლიმერებისა და მოსაპირკეთებელი ფილების, რუმინეთიდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ჩინეთიდან საბურავებისა და გამომთვლელი მანქანების,

ესპანეთიდან სამკურნალო საშუალებების, ჩილედან სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, ჰონკონგიდან სატელეფონო აპარატების, ხოლო ინდოეთიდან დიაგნოსტიკური რეაგენტების იმპორტი გაიზარდა. ამის საპირისპიროდ, იმპორტის შემცირება იაპონიიდან მსუბუქი ავტომობილების, ნიდერლანდებიდან სამკურნალო საშუალებებისა და სამედიცინო აპარატების, ხოლო გერმანიიდან სატვირთო და მსუბუქი ავტომობილების შემოტანის კლებით არის გამოწვეული.

2021 წლის დეკემბერში ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები იყო: თურქეთი, რუსეთი, აზერბაიჯანი, ჩინეთი, აშშ, გერმანია და უკრაინა. ჯამურად, 7 ძირითადი საგაყრო პარტნიორზე მთლიანი იმპორტის 61 პროცენტი მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით იმპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

იმპორტი ქვეყნების მიხედვით (დეკემბერი 2021)

საქონლის იმპორტის წლიური ცვლილება



წყარო: საქსტატი

2021 წლის დეკემბერში, იმპორტირებული საქონლის მნიშვნელოვან ნაწილს, 8.2 პროცენტს, ნავთობი და ნავთობპროდუქტები წარმოადგენდა, რომელთა ჯგუფმა იმპორტის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი 4.5 პპ შეიტანა. იმპორტზე ზრდის მიმართულებით ასევე სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, ნავთობპროდუქტების, სამკურნალო საშუალებების, სატელეფონო აპარატების, გამომთვლელი მანქანების, რეზინის პნევმატური სალტეებისა და ნახშირბადიანი ფოლადის წნელების ჯგუფების იმპორტმა (ჯამურად 8.5 პპ) მნიშვნელოვნად იმოქმედა. გარდა ამისა, დეკემბერში სიგარეტებისა და სიგარილების იმპორტი კვლავ გაიზარდა და იმპორტის მთლიან ზრდაში 0.4 პპ წვლილი შეიტანა. ამის საპირისპიროდ, საანგარიშო პერიოდში მსუბუქი

ავტომობილების ექსპორტი არსებითად შემცირდა. აღსანიშნავია, რომ დეკემბერში იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

იმპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით

	2021 დეკემბერი		2021 ნოემბერი		2020 დეკემბერი	
	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან იმპორტში	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან იმპორტში	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან იმპორტში
ნავთობი და ნავთობპროდუქტები	84 672.8	8.2%	85 974.2	8.5%	47 556.7	5.8%
მსუბუქი ავტომობილები	76 981.8	7.4%	64 059.0	6.3%	79 158.7	9.6%
სპილენძის მადნები და კონცენტრატები	67 770.5	6.5%	103 487.1	10.2%	41 768.2	5.1%
ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები სხვა	66 020.3	6.4%	49 840.7	4.9%	46 601.7	5.7%
დაფასებული სამკურნალო საშუალებები	47 562.8	4.6%	35 729.1	3.5%	46 435.7	5.6%
სატელეფონო აპარატები	27 397.1	2.6%	20 307.3	2.0%	15 295.6	1.9%
სიგარეტი, სიგარილები და სიგარეტები თამბაქოს ან მისი შემცველებისაგან	16 898.1	1.6%	12 570.7	1.2%	13 877.0	1.7%
გამომთვლელი მანქანები და მათი ბლოკები	10 861.4	1.0%	12 887.5	1.3%	6 507.1	0.8%
რეზინის პნევმატური სალტეები და საბურავები, ახალი	8 349.1	0.8%	7 720.4	0.8%	6 351.0	0.8%
წნელები ნახშირბადიანი ფოლადისაგან, შემდგომი დამუშავების გარეშე	8 252.7	0.8%	6 809.4	0.7%	3 385.5	0.4%
სხვა	623 229.8	60.0%	617 638.2	60.7%	515 038.9	62.7%
სულ	1 037 996.2		1 017 023.6		821 976.2	


წყარო: საქსტატი

ექსპორტი - 2021 წლის დეკემბერში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიურად 28.8 პროცენტით გაიზარდა. რეგიონის ქვეყნებიდან საექსპორტო შემოსავლების ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რუსეთში ექსპორტის მატებამ, რაც ფეროშენადნობების გაყიდვებს უკავშირდება. რეგიონის სხვა ქვეყნებიდან აღსანიშნავია თურქეთში - შავი ლითონების ჯართისა და ტანსაცმლის, ყაზახეთში - მსუბუქი ავტომობილების, შავი ლითონების მეტალოკონსტრუქციებისა და მინერალური წყლების, სომხეთში - სამშენებლო მანქანებისა და სატელეფონო აპარატების, ყირგიზეთში - მსუბუქი ავტომობილების, უკრაინაში - მინერალური და ქიმიური სასუქების, აზერბაიჯანში ბამბისა და სამრეწველო დამზადების თამბაქოს ექსპორტის ზრდა. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია აშშ-


ში ფეროშენადნობების, ესპანეთსა და ჩინეთში სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, იტალიაში სასუქებისა და ფეროშენადნობების, რუმინეთში კი მინერალური და ქიმიური სასუქების ექსპორტის მაღალი მაჩვენებლები. ამის საპირისპიროდ, ბულგარეთში სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, ხოლო შვეიცარიაში დაუმუშავებელი ოქროს ექსპორტი მნიშვნელოვნად შემცირდა.

2021 წლის დეკემბერში ძირითადი საექსპორტო ქვეყნები იყო: რუსეთი, ჩინეთი, აზერბაიჯანი, აშშ, თურქეთი, სომხეთი და უკრაინა. ჯამურად, 7 ძირითადი სავაჭრო პარტნიორის წილმა მთლიანი ექსპორტის 67 პროცენტი შეადგინა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის ექსპორტის წლიური ცვლილება



ექსპორტი ქვეყნების მიხედვით (დეკემბერი 2021)



წყარო: საქსტატი

2021 წლის დეკემბერში ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების 28.8 პროცენტთან მატებაში ყველაზე დიდი წვლილი ფეროშენადნობების (14.4 პროცენტული პუნქტი) ექსპორტმა შეიტანა და წლიური ზრდა 298 პროცენტს გაუტოლდა. ექსპორტის მოცულობაზე დადებითად აისახა სპილენძის მადნებსა და კონცენტრატებზე, მინერალურ და ქიმიურ სასუქებსა და ციტრუსებზე საგარეო მოთხოვნის მატება (ჯამურად 7.6 პროცენტული პუნქტი წვლილი მთლიანი ექსპორტში). ამის საპირისპიროდ, მსუბუქი ავტომობილების, ყურძნის

ნატურალური ღვინოების, სპირტიანი სასმელების, მინერალური წყლების, სამკურნალო საშუალებებისა და თხილის ექსპორტი შემცირდა. წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

ექსპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით

	2021 დეკემბერი		2021 ნოემბერი		2020 დეკემბერი	
	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან ექსპორტში	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან ექსპორტში	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან ექსპორტში
სპილენძის მადნები და კონცენტრატები	65 314.3	15.6%	94 511.6	22.0%	52 264.5	16.0%
ფეროშენადნობები	62 667.5	14.9%	36 844.4	8.6%	15 750.7	4.8%
მსუბუქი ავტომობილები	38 934.4	9.3%	44 349.8	10.3%	39 275.2	12.1%
ყურძნის ნატურალური ღვინოები	22 825.4	5.4%	27 325.0	6.3%	24 068.1	7.4%
სასუქები მინერალური ან ქიმიური, აზოტოვანი	21 829.1	5.2%	21 231.2	4.9%	11 025.7	3.4%
ციტრუსების ნაყოფი ახალი ან გამზმარი	16 341.7	3.9%	5 916.2	1.4%	15 461.9	4.7%
სპირტიანი სასმელები	14 842.5	3.5%	18 887.3	4.4%	16 320.2	5.0%
თხილი და სხვა კაკალი	11 904.3	2.8%	16 405.2	3.8%	12 681.3	3.9%
დაფასოებული სამკურნალო საშუალებები	11 439.5	2.7%	8 139.5	1.9%	12 143.2	3.7%
მინერალური და მტკნარი წყლები	10 877.6	2.6%	12 557.8	2.9%	11 298.7	3.5%
სხვა	142 479.3	34.0%	144 207.2	33.5%	115 361.5	35.4%
სულ	419 455.5		430 375.4		325 650.9	


წყარო: საქსტატი

ფულადი გზავნილები - 2021 წლის დეკემბერში საქართველოში გადმორიცხული თანხების მოცულობამ წინა წელთან შედარებით 14.9 პროცენტით მოიმატა და 229.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქართველოდან გადმორიცხული თანხების მოცულობა 35.1 პროცენტით 33.3 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა.

საანგარიშო თვეში რეგიონის ქვეყნებიდან ზრდის მაღალი ტემპით ყაზახეთიდან (306.2 პროცენტით) და ყირგიზეთიდან (296.6 პროცენტით) გადმორიცხული ფულადი სახსრები გამოირჩეოდა, რომელთა წვლილები მთლიანი გზავნილების ცვლილებაში, შესაბამისად, 4.4 და 2.2 პროცენტული პუნქტებით აისახა. ფულადი გადმორიცხვები აზერბაიჯანიდან გაიზარდა, ხოლო თურქეთიდან, რუსეთიდან და უკრაინიდან შემცირდა. საანგარიშო თვეში ჯამურად ევროკავშირის ქვეყნებიდან გადმორიცხულმა თანხებმა 11.7 პროცენტით მოიმატა (4.8 კპ წვლილი), რაც, ძირითადად, იტალიიდან (19.1 პროცენტით) და გერმანიიდან (60.4 პროცენტით) გაზრდილმა გზავნილებმა განაპირობა. საბერძნეთიდან გზავნილების მოცულობა ზომიერად შემცირდა. დანარჩენი ქვეყნებიდან ფულადი გზავნილების ზრდაზე დადებითი ზეგავლენა მოახდინა აშშ-დან (19.5 პროცენტით) და ისრაელიდან (13.8 პროცენტით) მიღებულმა თანხებმა. რაც შეეხება ქვეყნების მიხედვით განაწილებას, ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (40.2 პროცენტი), რუსეთი (17.3 პროცენტი) და აშშ (11.6 პროცენტი) წარმოადგენდა. ევროკავშირის ქვეყნებიდან


აღსანიშნავია იტალიის, საბერძნეთისა და გერმანიის მაღალი წილი მთლიან ფულად გზავნილებში.

წილი მთლიან ფულად გზავნილებში (დეკემბერი 2021)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ქვეყნების წვლილი სწრაფი ფულადი გზავნილების ზრდაში




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ტურიზმი - 2021 წლის დეკემბერში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 226.4 პროცენტით გაიზარდა. ტურისტების რაოდენობამ მთლიანი ვიზიტორების

89.9 პროცენტი შეადგინა და წლიურად 239.1 პროცენტით მოიმატა. საანგარიშო თვეში ერთდღიანი ვიზიტების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა.

ვიზიტორები ტიპების მიხედვით



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია


2021 წლის მეორე ნახევარში საქართველოში პანდემიის შემავსებელი ზომების შერბილებამ და საზღვრების გახსნამ ტურიზმის დარგის გამოცოცხლებას ხელი შეუწყო და უცხოელი ვიზიტორების რაოდენობის ზრდა გაგრძელდა. დეკემბერში ვიზიტორების წლიურმა ზრდამ 226.4 პროცენტი შეადგინა, თუმცა ეს საბაზო ეფექტს უკავშირდება, ვინაიდან 2020 წელს ანალოგიურ პერიოდში ტურიზმი პრაქტიკულად გაჩერებული იყო. 2019 წლის დეკემბერთან შედარებით კი 69.9 პროცენტით ნაკლები ვიზიტორი შემოვიდა. რეგიონის ქვეყნებიდან ყველაზე დიდი წვლილები ვიზიტორების ზრდაში რუსეთიდან (28.5 კპ), თურქეთიდან (26.2 კპ) და სომხეთიდან (18.9 კპ) შემოსულმა ვიზიტორებმა შეიტანეს. ევროკავშირის ქვეყნებიდან ვიზიტორთა რაოდენობა 6.6-ჯერ გაიზარდა, რამაც მთლიან ზრდაში 14.9 კპ წვლილი შეადგინა. განსაკუთრებით, გერმანიიდან (2.1 კპ), პოლონეთიდან (1.8 კპ) და ლიეტუვადან (1.8 კპ)

შემოსული ვიზიტორების რაოდენობამ მოიმატა. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია ისრაელიდან შემოსული ვიზიტორების რაოდენობა, როგორც ზრდის ტემპით (49-ჯერ მეტი ვიზიტორი), ასევე მთლიან ზრდაში მაღალი წვლილით (18.6 კპ).

ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები – 2021 წლის დეკემბერში ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 343.7 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. საერთაშორისო რეზერვებზე ზრდის მიმართულებით, ძირითადად, მთავრობისთვის ჩარიცხულმა პროგრამულმა სესხებმა და გრანტებმა და ასევე სვოპ ოპერაციებმა, ხოლო კლების მიმართულებით მთავრობის სავალუტო ხარჯებმა, მათ შორის, საგარეო ვალის მომსახურებამ იმოქმედა.

ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები

მილიარდი აშშ დოლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, სანაპიროს ქ. N2
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ცხელი ხაზი: 240 64 06
ელ-ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge

